

# გორში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღე აღინიშნა

03 დეკემბერი 2019

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ხოჯევანიშვილი გორის მუნიციპალიტეტის მერთან კონსტანტინე თავზარაშვილთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრში იმყოფებოდა. რწმუნებულმა ცენტრის ბენეფიციარებს მიულოცა და ცენტრის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას დაესწრო. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბენეფიციარებს სიმბოლური საჩუქრებიც გადასცეს.

მოგვიანებით ცენტრში არსებული მინანქრის, ძერწვისა და კერვის სახელოსნოებიც დაათვალიერეს. ბენეფიციარები თავად ამზადებენ ხელნაკეთ ნივთებს და გამოფენებშიც იღებენ მონაწილეობას.